DEUTSCHE
AMPHIBOLIN-WERKE
VON ROBERT MURJAHN

DAW SE

ქცევის კოდექსი

www.daw.de

ივნისი 2022

სარჩევი

აღმასრულებელი საბჭოს მიმართვა **5**

1. ერთი DAW - ერთი შესაბამისობა **6**
1.1 რისთვის გვაქვს ქცევის კოდექსი? **7**
1.2 ვის ეხება ქცევის კოდექსი? **7**
1.3 რა როლი ეკისრება თითოეულ ინდივიდს ქცევის კოდექსის განხორციელებაში? **9**
1.4 რა ხდება, როდესაც ირღვევა ქცევის კოდექსი? **9**

2. შესაბამისობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და შიდა წესებთან **11**

3. კოლეგებთან, გარემოსთან და ჩვენს პროდუქციასთან ურთიერთობის განმარტებები და აკრძალვები **12**
3.1 დისკრიმინაციის აკრძალვა **13**
3.2 სამართლიანი სამუშაო პირობები **14**
3.3 ადამიანთა უფლებების პატივისცემა **16**
3.4 პასუხისმგებლობა გარემოსადმი **16**
3.5 ჩვენი პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება **17**

4. ბიზნეს ურთიერთობებთან დაკავშირებული განმარტებები და აკრძალვები **18**
4.1 მექრთამეობისა და კორუფციის აკრძალვის დაცვა **19**
4.2 ინტერესთა კონფლიკთან გამკლავება **20**
4.3 ანტიმონოპოლიური კანონების დაცვა **21**
4.4 ფულის გათეთრებისა და ვაჭრობის კონტროლი **22**

5. კომპანიის კუთვნილი ქონებისა და ინფორმაციის დამუშავება **23**
5.1 კომპანიის საკუთრება **24**
5.2 სავაჭრო და ბიზნესთან დაკავშირებული საიდუმლოებები **25**
5.3 IT ინფრასტრუქტურის არამიზნობრივი გამოყენება **26**
5.4 მონაცემთა დაცვა **27**

6. შესაძლო გადაცდომების მხილება **28**

საკონტაქტო ინფორმაცია **30**

ყველა ჩვენს მიერ განხორციელებული ქმედებით ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ხალხის, ბუნებისა და საზოგადოების წინაშე. როგორც ინოვაციური საოჯახო საწარმო, ჩვენ ვგრძნობთ ვალდებულებას ჩვენი მმართველობით შევიტანოთ წვლილი მდგრადი, გარემოსთან თავსებადი, ეკონომიკის მდგრად განვითარებაში, რომელიც უპასუხებს მომავლის გამოწვევებს.

დოქტორი რალფ მურიანი
მფლობელი და მმართველი დირექტორი (CEO)

სტეფან ჰაიკო ფიშერი
მმართველი დირექტორი (COO)

დოქტორი იორგ ლუნინგერი
მმართველი დირექტორი ინოვაციებისა და ბიზნეს ერთეულების მიმართულებით (CIPO)

დოქტორი ტომას სპატი
მმართველი დირექტორი ფინანსების, კონტროლინგისა და IT-ს მიმართულებით (CFO)

დანიელ ვებერი
მმართველი დირექტორი მიწოდების ჯაჭვის მიმართულებით (CSCO)

აღმასრულებელი საბჭოს მიმართვა

ძვირფასო კოლეგებო, ძვირფასო თანამშრომლებო,[1]

როგორც დამოუკიდებელი ბიზნეს კომპანია, ჩვენ მივისწრაფვით ვიყოთ გამორჩეულად სანდო და კეთილსინდისიერი ბიზნეს პარტნიორი, რომელიც ყოველთვის ამართლებს მასზე დაკისრებულ ნდობას. სწრაფად ცვალებადი საკანონმდებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, და ამის პარალელურად, საზოგადოების მხრიდან მზარდი მოლოდინები ჩვენი კომპანიის მიმართ - ვიმოქმედოთ სოციალური პასუხისმგებლობით და ეკოლოგიის გათვალისწინებით, გვსურს კიდევ უფრო მეტად შევუწყოთ ხელი ჩვენს თანამშრომლებს მოთხოვნების დაკმაყოფილების თვალსაზრისით. ამ გზით ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენს კომპანიას, როგორც სანდო მომწოდებელს და დამსაქმელს სოციალურ გარემოში.

ეს დაფუძნებულია ჩვენს შიდა პროცედურებზე , რომლებიც ჩვენ განვსაზღვრეთ ჩვენი საქმიანობებისათვის და ბიზნეს პროცესებისათვის, რომელთა შესაბამისობაში ყოფნაც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისათვის. ისინი ეყრდნობა შიდა სტანდარტებს, ისევე როგორც შესაბამის ქვეყნებში მოქმედ კანონმდებლობას. შესაბამისობასთან დაკავშირებული აქტივობებით და წინამდებარე ქცევის კოდექსით გვსურს კიდევ უფრო მეტად გავაძლიეროთ ჩვენი საქმიანობა და მივაღწიოთ ამ მიზნებს. ქცევის კოდექსის მიზანია გავაძლიეროთ ნდობა , თავიდან ავიცილოთ ინტერესთა კონფლიქტი და დავიცვათ DAW-სა და მისი ფილიალების აქტივები და რეპუტაცია, ხოლო ამასთან ერთად, პატივი ვცეთ იმ ქვეყნების ტრადიციებს და სოციალურ ღირებულებებს, სადაც ჩვენ ვართ წარმოდგენილნი.

ქცევები, რომლებიც არ მოდის კორელაციაში მოცემულ პრინციპებთან, ვერასოდეს გახდებიან DAW-სთვის მისაღები!

ყველა ჩვენგანი წარმოადგენს DAW-ს სახეს და უკავია მნიშვნელოვანი როლი მის წარმატებაში. მხოლოდ ერთობლივად შევძლებთ გავხადოთ უსაფრთხო არსებული წარმატება და ხელი შევუწყოთ მის სამომავლო გაფართოებას. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ კითხვები, გაურკვევლობები, ან შემოთავაზებები, გთხოვთ მიმართოთ თქვენს მენეჯერს, ან მმართველობისა და შესაბამისობის განყოფილებას („G&C Department"). ჩვენთვის მნიშვნელოვანია თქვენ მიიღოთ მკაფიო და ნათელი პასუხები თქვენს შეკითხვებზე, რათა თქვენ ყოველთვის უსაფრთხოდ იგრძნოთ თავი.

ობერ-რამშტატი, მარტი 2022
რალფ მურიანი

1 იმ შემთხვევაში, თუ ქცევის კოდექსში მითითებული ტექსტი მოცემულია ხაზგასმით მრავლობით ფორმაში, ეს გაკეთებულია მხოლოდ მკითხველის კეთილგანწყობისათვის. DAW-ში ყველაზე მნიშვნელოვანი აქ დასაქმებული ინდივიდები არიან. თანამშრომლები, რომლებიც აქ არიან დასაქმებულნი, ისეთივე მრავალფეროვანნი და მრავალმხრივები არიან, როგორი მრავალფეროვანიც ჩვენი ფერები და მიმართულებებია. DAW-ს ოჯახის წევრი ყველას შეუძლია გახდეს მიუხედავად მათი წარმომავლობისა - მთვარია ჩვენ ერთმანეთს შევეფერებოდეთ!

1. ერთი DAW - ერთი შესაბამისობა

შესაბამისობა აღწერს კომპანიისა და მისი ყველა თანამშრომლის პასუხისმგებლობას დააკვირდეს და დაიცვას როგორც სამართლებრივი დებულებები, ისე კომპანიის შიდა წესები მის ყოველდღიურ საქმიანობაში.

1.1 რისთვის გვაქვს ქცევის კოდექსი?

ამ დოკუმენტში მოცემული განცხადებები დაკავშირებულია ქცევის კოდექსთან, რომლებიც მოქმედებს მთლიანად DAW-ში შემავალი ყველა კომპანიისა და თანამშრომლისათვის და იძლევა რეკომენდაციებს ყოველდღიური მუშაობისას თანამშრომლების კოლეგებთან და ბიზნეს პარტნიორებთან ურთიერთობების ფორმატთან დაკავშირებით.

სავალდებულო დებულებებისა და კომპანიის შიდა წესების გარდა, ქცევის კოდექსი დაკავშირებულია DAW-ს პრინციპებთან, რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ჩვენი კორპორატიული კულტურის საფუძველს:

ღია და კომუნიკაბელური,
პატივისცემასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული,
ობიექტური და დისციპლინირებული,
საქმიანი და ენთუზიაზისტი,
ამაყობს საერთო წარმატებებით.

წინამდებარე ქცევის კოდექსი უნდა შეიცვალოს იმ შემთხვევაში, თუ საკანონმდებლო და ეკონომიკური პირობები ამის საჭიროებას მოითხოვს. ცვლილებები კომუნიცირებული იქნება მთელი ჯგუფისათვის.

1.2 ვის ეხება ქცევის კოდექსი?

ქცევის კოდექსი ეხება ყველა თანამშრომელს გამონაკლისების გარეშე (შემდგომში მოხსენიებული როგორც „თანამშრომლები“ ან „ჩვენ“). ქცევის კოდექსი თავის თავში აერთიანებს კომპანია DAW-ს და ყველა მის შვილობილ კომპანიას.

შესაბამისობა - რას ნიშნავს ის?

- **სიტყვა შესაბამისობა მოდის სიტყვიდან „შესაბამისი“ და შესაძლებელია ითარგმნოს, როგორც „თანმდევობა“, „დაკვირვებულობა“, ან „შესატყვისობა“.**
- **აქედან გამომდინარე, შესაბამისობა ნიშნავს თითოეული თანამშრომლის მოვალეობას დააკვირდეს და გაითვალისწინოს როგორც საკანონმდებლო დებულებები, ისე კომპანიის შიდა წესები თავის ყოველდღიურ საქმიანობაში, როგორციაა მაგალითად ქცევის კოდექსი.**

1.3 რა როლი ეკისრება თითოეულ ინდივიდს ქცევის კოდექსის განხორციელებაში?

DAW თავისი თანამშრომლებისაგან მოელის მუდმივად იხელმძღვანელონ ქცევის კოდექსით და თავად გახდნენ მასთან დაკავშირებული ღირებულებების განხორციელების მაგალითები.
მენეჯერებს ეკისრებათ გადამწყვეტი როლი ამ სიტუაციაში. მათ აქტიურად უნდა შეასრულონ თავიანთი მმართველობით როლი ისე, რომ თავიდან აიცილონ აღნიშნული კოდექსის დარღვევები, ხოლო ასეთის დადგომის შემთხვევაში - არ დაფარონ მსგავსი შემთხვევები.
პიროვნული სამართლიანობა და პასუხისმგებლობის გრძნობა გვეხმარება განვსაზღვროთ, თუ რომელი ქცევაა მისაღები კონკრეტულ სიტუაციებში.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევების სისწორე:

- ვმოქმედებ, თუ არა მე საკანონმდებლო დებულებებისა და DAW-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად?
- ვმოქმედებ , თუ არა მე და ვიღებ თუ არა გადაწყვეტილებებს ობიექტურად ხელმისაწვდომ ფაქტებზე დაყრდნობით?
- შეძლებს, თუ არა ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინ აღუდგეს საზოგადოების მხრიდან კრიტიკულ შეფასებას?

1.4 რა ხდება, როდესაც ირღვევა ქცევის კოდექსი?

შეუსაბამობა შესაძლებელია გახდეს საფუძველი მომენტალური ზიანისა და მაღალი ჯარიმებისა DAW-სათვის და შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მის სამომავლო ბიზნეს საქმიანობას.
თანამშრომლებს, რომლებიც დაარღვევენ ქცევის კოდექსს, მიეყენებათ სადამსჯელო ზომები გათვალისწინებული შრომის კოდექსით, ისინი შესაძლოა განთავისუფლებულნი იქნან სამსახურიდან, ხოლო დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე - შესაძლოა დადგეს მათი სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხი, რაც დამოკიდებულია დარღვევის სიმძიმეზე.

სამართლიანობა - რას ნიშნავს ის?

- სიტყვასამართლიანობა მოდის ლათინური წარმოშობის სიტყვა“სამართლიდან“, რომელიც ნიშნავს „მთლიანს, დაუზიანებელს“
- სამართლიანობა არის პიროვნების დამახასიათებელი თვისება, რომელიც გულისხმობს მის პატიოსნებას, არაკორუფციულობას, სისუფთავეს და არადარღვეულობას, რომელიც კავშირშია პიროვნებასთან , ან ორგანიზაციასთან (კომპანია ან ინსტიტუტი).
- სამართლიანობის სინონიმებია წესიერება, კეთილსინდისიერება, პატიოსნება.
- სამართლიანი ადამიანები ყოველთვის კეთილსინისიერებით მოქმედებენ და არ სურთ თავისი ქცევით სხვებისათვის ზიანის მიყენება.

2. შესაბამისობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და შიდა წესებთან

DAW-ში ჩვენ ვმოქმედებთ იმ ქვეყნების საკანონმდებლო დებულებების შესატყვისად, რომლებშიც ჩვენ ვსაქმიანობთ. გარდა ქცევის წესებისა, რომლებიც აღწერილია ქცევის კოდექსში, ჩვენი გუნდის შიდა ინსტრუქციები განსაზღვრავს კონკრეტულ ქცევებს, რომლებიც სავალდებულო შესასრულებელია ყველა თანამშრომლის მხრიდან. იმისათვის, რომ მხედველობაში მიგვეღო ქვენებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკაციები, ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ შესაძლოა წარმოადგინოს დამატებითი რეგულაციები, რომლებიც, თავის მხრივ, წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ქცევის კოდექსთან და ჯგუფის წესებთან.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ვფლობ ინფორმაციას ქცევის კოდექსში მოცემულ წესებთან და ჯგუფის შესაბამისს პროცედურებთან დაკავშირებით და ვიცავ თუ არა მათ?
- ©ქცევის კოდექსით გაცხადებულ დებულებებსა და ადგილობრივ საკანონმდებლო დებულებებს შორის შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში, ვანიჭებ უპირატესობას ადგილობრივ საკანონმდებლო დებულებებს?

3. კოლეგებთან, გარემოსთან და ჩვენს პროდუქციასთან ურთიერთობის განმარტებები და აკრძალვები

3.1 დისკრიმინაციის აკრძალვა

DAW-ს შიგნით ჩვენ მხარს ვუჭერთ თანაბარ შესაძლებლობებსა და თანასწორ მოპყრობას. ჩვენ ვემიჯნებით ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას. არც ერთი თანამშრომელი არ უნდა გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი მისი სქესის, ასაკის, კანის ფერის, კულტურის, ეთნიკურობის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური მიკუთვნებულობის, ან იდეოლოგიის მიზეზით.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ვექცევი, თუ არა მე ჩემს კოლეგებს ყოველთვის თანაბრად და პატივისცემით, იერარქიის მიუხედავად?
- ვარ თუ არა ფრთხილი ხუმრობისას, რათა შემთხვევით სხვას არ მივაყენო შეურაცყოფა?
- შემაქვს თუ არა მე ჩემი წვლილი ჩემს კოლეგებთან ურთიერთობისას გულწრფელობის კულტურის დასამკვიდრებლად?
- ვრწმუნდები თუ არა ყოველთვის, რომ მე მივიღე ობიექტურად სამართლიანი გადაწყვეტილება მიუხედავად სქესისა, სექსუალური ორიენტაციისა, რელიგიური მიკუთვნებულობისა, ეთნიკურობისა, ან სხვა მსგავსი ფაქტორებისა?

3.2 სამართლიანი სამუშაო პირობები

DAW-ში ჩვენ ვაღწევთ ჩვენს მიზნებს მხოლოდ თითოეულ თანამდებობაზე დასაქმებული მოტივირებული თანამშრომლებით. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია შესაბამისობაში ვიყოთ ჩვენივე კომპანიის შიდა დებულებებთან მინიმალური ანაზღაურების, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან დასაქმებულთა უფლებების კუთხით, კონკრეტულად კი სამუშაო საათებისა და სამუშაო პირობების ნაწილში, სამუშაოს ანაზღაურებისა და გამოხატვის თავისუფლების ნაწილში.

DAW-ში ჩვენ შესაბამისობაში ვართ შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობასთან ჯანმრთელობის დაცვისა და დასაქმებულთა უსაფრთხოების ნაწილში, გვაქვს დასაქმებულთა უსაფრთხოების მართვის სისტემა და ვუზრუნველყობთ მის აღსრულებას.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- არის თუ არა ჩემთვის ცნობილი კომპანიის შიგნით ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული ზომების შესახებ და ვერმოჩილები თუ არა მე უსაფრთხოების რეგულაციებს სამუშაო ადგილზე?
- ვესწრები თუ არა მე რეგულარულად ტრენინგებს სამუშაო ადგილზე უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?
- ვაწვდი თუ არა მე ინფორმაციას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ადგილობრივ ოფიცერს, ან ჩემს ხელმძღვანელს უსაფრთხოების ზომების დარღვევასთან დაკავშირებით (მაგ: საჭირო უსაფრთხოების აღჭურვილობის ნაკლებობა სტუმრების საამქროს ტერიტორიაზე ვიზიტისას)?

ჩვენ არ მოვითმენთ რაიმე სახის იძულებით შრომას, ან ბავშვთა შრომას, არც უშუალოდ ჩვენს მომწოდებელთან და კონტრაქტორ ორგანიზაციებთან.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- მომწოდებლების, ქვე-მომწოდებლების, ან სხვა ტიპის ბიზნეს პარტნიორების შერჩევისას, ვაქცევ თუ არა ყურადღებას მათ დასაქმებულთა სამუშაო პირობებს ისევე, როგორ ჩვენ მოველით ამას ჩვენივე თავისგან DAW-ში?

- მახსენდება, თუ არა ვაცნობო ჩემს მენეჯერს, მართვისა და შესაბამისობის განყოფილებას (G&C Department) თუ ჩემთვის ცნობილი გახდა იმ ინდიკატორების შესახებ, რომლებიც აღწერენ იძულებით, ან ბავშვთა შრომას? ვიყენებ, თუ არა შესაძლებლობას ვაცნობო ამის შესახებ ანონიმურად DAW-ს ცხელ ხაზზე? ეს არის ერთადერთი საშუალება, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია ჩატარდეს გამოძიება და შეფასდეს ურთიერთობა ბიზნეს პარტნიორთან.

3.3 ადამიანთა უფლებების პატივისცემა

DAW SE ჩართულია გაერთიანებული ერების ერთობლივ შეთანხმებაში 2012 წლიდან დღემდე და იღებს პასუხისმგებლობას დაიცვას მის მიერ აღიარებული პრინციპები და სტანდარტები. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ადამიანთა უფლებათა დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების და მუდმივად ვაფართოვებთ ჩვენს ჩართულობას, რათა გამოვხატოთ ჩვენი პატივისცემა ამ წესების მიმართ და დავიცვათ ადამიანთა უფლებები. ჩვენი ჩართულობა მოიცავს როგორც ჩვენს უშუალო ფილიალებს, აგრეთვე ჩვენს მომწოდებლებს, რაც მოიცავს ღირებულებების სრულ ჯაჭვს. ჩვენი მომწოდებლების ქცევის კოდექსით ჩვენ მოვითხოვთ მსგავსი ტიპის მიდგომას ხსენებული სტანდარტების მიმართ ჩვენი მომწოდებლებისგანაც.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ვიცი თუ არა და მხარს ვუჭერ თუ არა მე ჩვენს ჩართულობას ადამიანთა უფლებების დაცვის კუთხით?
- გამომდიანრე იქიდან, რომ ჩემი მოვალეობაა მომწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება, ვაქცევ თუ არა ყურადღებას და ვასრულებ თუ არა მომწოდებლების მხრიდან ჩვენი ქცევის კოდექსის აღიარების პროცედურას? თუ რაიმე კითხვები მაქვს, მე ვუკავშირდები ჩვენს შესყიდვების განყოფილებას, ეკოლოგიის განყოფილებას, ან მმართველობისა და შესაბამისობის განყოფილებას.

3.4 პასუხისმგებლობა გარემოსადმი

DAW-ში ჩვენ ვხელმძღვანელობთ ეკოლოგიის დაცვის მმართველობითი პრინციპით უკვე 10 წელიწადზე მეტია, იმ მიზნით, რომ ვიყოთ პიონერები ჩვენს ინდუსტრიაში ეკოლოგიის კუთხით. ჩვენ შესაბამისობაში ვართ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების ეროვნულ კანონმდებლობასთან და ვიცავთ შესაბამის სტანდარტებს ჩვენი ბიზნეს საქმიანობის კუთხით. ჩვენ ვფლობთ საჭირო, დოკუმენტირებულ, გარემოს დაცვის მართვის სისტემას. ჩვენი განცხადება- ვიღწვოდეთ ეკოლოგიური ინოვაციური მმართველობისათვის - მოიცავს საწარმოო პროცესების მუდმივად გაუმჯობესებას, ხოლო ჩვენი პროდუქციის წარმოების გავლენა გარემოზე და მასთან დაკავშირებული რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რითიც გარემოსა და კლიმატის ცვლილებების დაცვა მუდმივად უმჯობესდება ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- არის თუ არა ჩემთვის ცნობილი ეკოლოგიის სტრატეგიის შესახებ? ეს ინფორმაცია განთავსებულია მოცემულ ვებ გვერდზე **daw.de/en/responsibility.**
- ვიყენებ თუ არა მე პასუხისმგებლობით ბუნებრივ რესურსებს ჩემს სამუშაო არეალში და ვირიდებ თუ არა თავიდან უსარგებლო ნარჩენებს, სხვა ყველა დანარჩენთან ერთად?

3.5 ჩვენი პროდუქციის ხარისხი და უსაფრთხოება

როგორც ერთ-ერთი უდიდესი ევროპული წარმოშობის მწარმოებელი, საღებავების მომწოდებელი და დათბუნების მიმართულებით მომუშავე კომპანია, ჩვენთვის ცნობილია ჩვენი პასუხისმგებლობის შესახებ შესაბამის საკანონმდებლო რეგულაციებთან და იმ სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც შეეხება ჩვენი პროდუქციის უსაფრთხოებასა და ხარისხის უზრუნველყოფას. ეს აგრეთვე ეხება აღნიშნულთან დაკავშირებულ სამუშაოსა და წარმოების პროცესს.

DAW-ში ჩვენ ვუზრუნველყობთ შესაბამისობას საჭირო პროცედურებისა და კონტროლის დაცვის კუთხით. ჩვენი ხარისხის მართვის სისტემა რეგულარულად გადის სერთიფიცირებას და თანხვედრაშია მომწოდებლების შესაბამის მოთხოვნებთან ჩვენს მიწოდების ჯაჭვის ქსელში. ჩვენ ვაკეთებთ ჭეშმარიტ განცხადებებს ჩვენს პროდუქციასთან დაკავშირებით. ტყუილი, ან მცდარი განცხადებები შესაძლოა გახდეს დამაზიანებელი არა მხოლოდ ჩვენი მომხმარებლებისთვის, არამედ შესაძლოა გამოიწვიოს საკანონმდებლო სტანდარტების დარღვევა და საფრთხე შეუქმნას DAW-ს იმიჯს.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- როგორც ჩემი სამუშაოს ნაწილი, ვუზრუნველყოფ თუ არა მე, რომ საკანონმდებლო რეგულაციები, სტანდარტები და შიდა (ჯგუფის) წესები პროდუქციის განვითარებასთან, უსაფრთხოებასთან და ხარისხთან დაკავშირებით დაცული იყოს?

- როგორც ჩემი სამუშაოს ნაწილი, ვრწმუნდები თუ არა მე რომ სტანდარტის დარღვევა, ან მისგან გადახვევა წესისამებრ ეცნობება ჩემს მენეჯერს, ან შესაბამის განყოფილებას პროდუქციის მართვისა და დასტურის მიღების მიზნით , ისევე როგორც პროდუქციის ხარისხის განყოფილებას (მაგალითად: არასწორი შეფუთვა, ვადაგასული დასტურები, ან სერთიფიკატები)?

4. ბიზნესს ურთიერთობებთან დაკავშირებული განმარტებები და აკრძალვები

4.1 მექრთამეობისა და კორუფციის აკრძალვის დაცვა

ჩვენ არ მოვითმენთ აქტიურ, ან პასიურ მოსყიდვას და კორუფციას და არ ვაღიარებთ მას როგორც ბიზნესის წარმოების საფუძველს.

DAW-ში ჩვენ ვიღებთ შესაბამის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამშრომლები არ სთავაზობენ , ჰპირდებიან, ან აძლევენ რაიმე სახის არასამართლიან უპირატესობას ბიზნეს პარტნიორებს, ან მათთან აფილირებულ პირებს, მაგალითად არასამართლებრივი გადახდა, ქრთამი, ძვირფასი საჩუქრები, ან მოსაწვევები, იმ მიზნით რომ მოიპოვონ კონტრაქტი, ან სხვა უპირატესობა ბიზნეს საქმიანობაში.

DAW-ს თანამშრომლებისათვის აგრეთვე არ არის ნებადართული მოითხოვონ, მიიღონ, შესთავაზონ, ან მიანიჭონ უსამართლო უპირატესობა, პირდაპირი ან არაპირდაპირი ფორმით, მათი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში , არაფულადი სახით, საჩუქრების, ან სხვა ბენეფიტებისა და მომსახურეობების მიღების სახით. ეს ეხება როგორც ფიზიკურ პირებს, ისე კომპანიებს , ოფიციალურ პირებსა და სხვა ინსტიტუციებს. უფრო ზუსტად, არცერთ ადგილობრივ, თუ უცხოელ ოფიციალურ პირს არ უნდა მიენიჭოს რაიმე სახის უპირატესობა. გამონაკლისს წარმოადენს მხოლოდ ზოგადი სახის კლიენთა მომსახურეობის, ან წახალისებასთან დაკავშირებული საჩუქრები და შემთხვევები , სტუმართმოყვარეობის გამოხატვა და სხვა სახის ბენეფიტები , რომელთა ღირებულებაც დაბალია. უფრო კონკრეტულად, DAW არ გასცემს რაიმე სახის ფულად შემოწირულობას, ან სხვა ბენეფიტებს პოლიტიკური პარტიების მიმართ, არ ახდენს პოლიტიკოსების, ან მსგავსი ტიპის ინსტიტუციების დაფინანსებას.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- არის თუ არა ჩემთვის მუდმივად ცნობილი მიმდინარე შიდა რეგულაციების შესახებ ინფორმაცია ღირებულებების ლიმიტისა და დასტურის მოთხოვნების შესახებ, როდესაც ვიღებ, ან გავცემ საჩუქრებს, ვიღებ მოსაწვევებს ან სხვა ბენეფიტებს (განსაკუთრებით კლიენტა ლოიალურობასთან დაკავშირებულ საჩუქრებს)?
- ყოველთვის ვიცავ მოთხოვნებს, რომ მოვითხოვო მიმღების ზემდგომი თანხმობა ძვირფასი შემოწირულობების ან კერძო ინიცირებული მოსაწვევებისათვის? თუ მიმღები უარს იტყვის, შემოწირულობის გაკეთება არ უნდა მოხდეს.

4.2 ინტერესთა კონფლიკთან გამკლავება

DAW-ში ჩვენ ვიღებთ მხოლოდ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ ბიზნეს და პერსონალურ გადაწყვეტილებებს და დასაწყისიდანვე თავიდან ვიცილებთ ინტერესთა კონფლიქტს პირად, ეკონომიკურ ან სხვა საქმიანობებთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ვმოქმედებ, თუ არა მე ექსკლუზიურად DAW-ს ინტერესების გათვალისწინებით და ვახდენ თუ არა პირადი ეკონომიკური ინტერესებისა და DAW-ს ინტერესების ერთმანეთისაგან გამიჯვნას? ვახდენ თუ არა ჩემი მენეჯერისათვის ინფორმაციის მიწოდებას იმ შემთხვევების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას აღნიშნული პრინციპების დაცვას? ეს აგრეთვე ეხება იმ შემთხვევებს, რომლებიც დაკავშირებულია შიდა საქმიანობასთან (მაგალითად: პირადი ურთიერთობები ისეთ თანამშრომლებს შორის, როგორიცაა შეკვეთის მიმცები და ინვოისის გამომწერი) , აგრეთვე სიტუაციები, რომლებიც გავლენას ახდენს გარე პირებზე, როგორებიც არიან ბიზნეს პარტნიორები, მომხმარებლები, მომწოდებლები, ან კონკურენტები.

- ვაცნობე თუ არა ჩემს მენეჯერს მეორადი დასაქმების შესახებ და მივიღე თუ არა წერილობითი თანხმობა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებისაგან ამასთან დაკავშირებით?

- არის თუ არა ჩემი მენეჯერისათვის ცნობილი რაიმე სახის ჩემი პირადი, ან ჩემი ახლობელი ადამიანების ეკონომიკური ინტერესების შესახებ ბიზნეს პარტნიორების საქმიანობასთან, მომხმარებლებთან, მომწოდებლებთან, ან DAW-ს კონკურენტებთან მიმართებაში? მაქვს თუ არა ამასთან დაკავშირებით წერილობითი დასტური შესაბამისი განყოფილებისა, ან მართვისა და შესაბამისობის განყოფილებისაგან?

4.3 ანტიმონოპოლიური კანონების დაცვა

DAW-ში ჩვენ ვიქცევით სამართლიანად კონკურენტებთან ურთიერთობების თვალსაზრისით და ვიცავთ მოქმედ კარტელურ და სხვა არსებულ კანონებს, რომლებიც არეგულირებენ თავისუფალ ვაჭრობას. ჩვენ არ ვმონაწილეობთ, არც პირდაპირ და არც ირიბად, რაიმე სახის შეთანხმებაში კონკურენტებთან, ან ბაზრის სხვა მონაწილეებთან, რომელიც არღვევს კარტელურ კანონს, არც ბოროტად ვიყენებთ ძლიერ ან დომინანტურ პოზიციას ბაზარზე. DAW-ში ჩვენ ვიღებთ შესაბამის ზომებს ამის უზრუნველსაყოფად.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- არის თუ არა ჩემთვის ცნობილი ანტიმონოპოლიური კანონის შინაარსი, რომელიც დაკავშირებულია ჩემს საქმიანობასთან?
- ვრწმუნდები თუ არა, რომ მე არ გადავცემ DAW-ს კონკურენტებს კონკურენტულ ინფორმაციას და არ შევდივარ ზეპირსიტყვიერ, ან წერილობით შეთანხმებაში კომპანიის კონკურენტებთან, რომელმაც შესაძლოა დაარღვიოს ანტიმონოპოლიური კანონი, მაგალითად ფასებთან დაკავშირებით?
- ვითვალისწინებ თუ არა ხელშეკრულებების აკრძალვებს კარტერულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, როგორიცაა მაგალითად ფასის ფორმირებასთან დაკავშირებული შეთანხმება , მეორადი ფასის დასმა, და ა.შ, რაც გულისხმობს გაწერილი ფასის მიცემას, ან მინიმალური ფასის განსაზღვრას?
- არის თუ არა ჩემთვის ცნობილი თუ როგორ შეიძლება მოვიქცე თანამშრომლობის დამყარების დროს? ვრწმუნედები თუ არა, რომ მსგავსი ტიპის შეხვედრების დროს ხდება შეხვედრის შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება და ის ხელმისაწვდომია ორივე მხარესათვის?
- არის თუ არა ჩემთვის ცნობილი, რომ საჭიროა ჩავრთო იურიდიული განყოფილების წარმომადგენლები ღია ანტიკორუფციული კითხვებისას, ან სადაო საკითხების განხილვისას?

4.4 ფულის გათეთრებისა და ვაჭრობის კონტროლი

ფულის გათეთრება წარმოადგენს კორუფციულ ქცევას (თანხის მიღება, გადარიცხვა), რაც გულისხმობს არაკანონიერი გზით ნაღდი ფულის, ან სხვა აქტივების მოპოვებას ეკონომიკური ცირკულაციის დროს. ჩვენ შესაბამისობაში ვართ ზემოთხსენებულთან დაკავშირებულ საკანონმდებლო მოთხოვნებთან იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ფულის გათეთრება და არ მივიღოთ მონაწილეობა პირდაპირი ან ირიბი გზით, რაიმე სახის ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში. DAW-ში ჩვენ ვიღებთ პრევენციულ ზომებს მთელი ჯგუფის მასშტაბით, რათა თავიდან ავიცილოთ / გამოვავლინოთ ფულის გათეთრების შემთხვევები და აღვწეროთ საეჭვო სიტუაციები, ან სხვა კონსპირაციული გარემოებები კომპეტენტურ ორგანოებთან.
გარდა ამისა, ჩვენ ვუზრუნველყობთ ჩვენი ბიზნესის ფუნქციონირებას ამასთან დაკავშირებული სავაჭრო რეგულაციების შესაბამისად. ჩვენ ვიღწვით ვიყოთ შესაბამისობაში იმპორტისა და ექსპორტის კონტროლის მოთხოვნებთან, სანქციებთან, ან ეკონომიკურ ემბარგოებთან და ვუზრუნველყობთ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რათა თავიდან ავიცილოთ ტერორიზმის დაფინანსება.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- როგორც ჩემი საქმიანობის ნაწილი, ვრწმუნდები რომ ჩვენ მოვახდინეთ ჩვენი ბიზნეს პარტნიორების იდენტიფიცირება?
- ვაქცევ თუ არა ყურადღებას გამაფრთხილებელ ნიშნებს, როგორებიცაა მესამე პირების მიმართ თანხის გადარიცხვა კლიენტის ნაცვლად, მოთხოვნა თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით ისეთ ანგარიშებზე, რომლებიც არ ირიცხება ჩვენს წინა ტრანზაქციებში, ან სხვა ტიპის გადარიცხვებს, რომლებიც შესაძლოა მიმანიშნებელი იყოს შესაძლო ფულის გათეთრების?
- იმ შემთხვევაში, თუ არ ვარ დარწმუნებული, მე მომენტალურად ვუკავშირდები მმართველობისა და შესაბამისობის განყოფილებას.



5. კომპანიის კუთვნილი ქონებისა და ინფორმაციის დამუშავება

5.1 კომპანიის საკუთრება

ყველა თანამშრომელი ერთნაირად პასუხისმგებელია კომპანია DAW-ს ქონების დაცვაზე მათი საქმიანობის არეალში. ეს ეხება როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურ საკუთრებას. მატერიალური საკუთრების რიცხვში შედის ისეთი ნივთები, როგორებიცაა შენობა-ნაგებობები, მიწა, პროდუქცია, სატრანსპორტო საშუალებები, ავეჯი, კომპიუტერები, ინვენტარი და ჩანაწერების, ან დოკუმენტაციის ნებისმიერი ფორმა. არამატერიალურ საკუთრებაში შედის ისეთი აქტივები, როგორებიცაა ინტელექტუალური საკუთრება, ნოუ-ჰაუ, ინდუსტრიული საკუთრების უფლებები - როგორებიცაა პატენტები, სავაჭრო ნიშნები ან სხვა რამ, აგრეთვე საავტორო უფლებები, ტექნოლოგიები, ან სავაჭრო საიდუმლოებები. ჩვენ აგრეთვე პატივს ვცემთ მესამე მხარის ინტელექტუალურ საკუთრებას.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ვაქცევ, თუ არა მე ყურადღებას, თუ რამდენად ყურადღებით ვექცევი ჩემზე მონდობილ ნივთებს DAW-ში , რომლებიც აუცილებელია ჩემი საქმიანობისათვის, როგორებიცაა ხელსაწყოები, საოფისე ავეჯი, მობილური ტელეფონი, კომპიუტერი, ან სხვა ნივთები?
- ვიყენებ, თუ არა მე კომპანიის საკუთრებას პირადი მიზნებისთვის მხოლოდ გაცხადებული და გამოხატული ნებართვის მიღების შემდგომ პასუხისმგებელი პირის მიერ და შიდა რეგულაციების შესაბამისად?
- ვცემ, თუ არა პატივს პატენტებს, სავაჭრო ნიშნებს და სხვა ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს ჩემი საქმიანობის ფარგლებში და ვიყენებ თუ არა მათ წინასწარი ნებართვის/ლიცენზიის გარეშე, რომელიც მონიჭებული მაქვს მფლობელის მიერ (მაგალითად კომპანიის შიგნით, ან გარეთ ფოტოების გამოყენება)?

5.2 სავაჭრო და ბიზნესთან დაკავშირებული საიდუმლოებები



თანამშრომლებმა უნდა დაიცვან კონფიდენციალურობა DAW-სთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში მანამ, სანამ აღნიშნული საკითხები ღიად არ იქნება გაცხადებული მესამე მხარისათვის, ან საზოგადოებისათვის იმ პირების მხრიდან, რომლებიც ამ საკითხზე არიან პასუხისმგებელნი.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ვიღებ თუ არა მე ყოველთვის შესაბამის ზომებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ არანაირი შიდა კონფიდენციალური ინფორმაცია, როგორიცაა კომპანიის ბიზნეს სტრატეგია, კვლევის შედეგები, ბაზრის კვლევის შედეგები, ან კონტრაქტის პირობები, ისევე როგორც ანგარიში, გადაცემულ იქნას, ან გახდეს ხელმისაწვდომი არაავტორიზებული პირებისათვის DAW-ს გარეთ? გარდა ამისა, ვაქცევ თუ არა ყურადღებას ამ ფაქტს შემოსული ინფრომაციის თვალსაზრისით და ვიცავ თუ არა მესამე მხარის კონფიდენციალურობას?

- მქონდა თუ არა წინასწარ ავტორიზაცია ჩემს მიერ გაცხადებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით პასუხისმგებელი მენეჯერის მხრიდან მესამე პირისადმი გადაცემამდე?

- ვცდილობ თუ არა ყოველთვის, რომ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით ჩემთვის ცნობილი DAW-სთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ იქნას გამოყენებული ჩემს, ან მესამე მხარის მიერ პირადი ინტერესებისათვის?

5.3 IT ინფრასტრუქტურის არამიზნობრივი გამოყენება

ჩვენი IT ინფრასტრუქტურა ემსახურება ჩვენს ბიზნესს. კომპიუტერული სისტემების საჭირო ფუნქციონირება და მათი უსაფრთხოება ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ჩვენი ბიზნესის შეუფერხებელი საქმიანობისათვის.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ვარ თუ არა მე ყურადღებით და ვაყენებ თუ არა IT უსაფრთხოებისა და G&C განყოფილებას საქმის კურსში, როდესაც ეჭვი შემაქვს ელექტრონული ფოსტის მისამართის სანდოობაში, ან სხვა ელექტორნული სახით მიღებული მოთხოვებისას?
- ვიყენებ თუ არა უსაფრთხოების ზომებს და ვიცავ თუ არა შესაბამის წესებს ელექტრონული საინფორმაციო სისტემებით სარგებლობისას (უფრო კონკრეტულად კოდირების, კოდური სიტყვების გამოყენებისას) პასუხისმგებელი IT უსაფრთხოების წარმომადგენლის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს?
- ვიყენებ თუ არა ჩემს ხელთ არსებულ ცოდნასა და რწმენას იმისათვის, რომ თავი დავიზღვიო ქცევებისაგან, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს DAW IT ინფრასტრუქტურის უსაფრთხო მუშაობას?
- ვარ თუ არა ყურადღებით, რათა არასოდეს გამოვიყენო საკომუნიკაციო საშუალებები (იგულისხმება ელექტრონული ფოსტის მისამართი) დამაზიანებელი, შეურაცხმყოფელი სახით (მაგალითად: მორალურად შეურაცხმყოფელი შინაარსის მქონე ტექსტის შექმნა, გაგზავნა, გავრცელება)?
- შევდივარ თუ არა მე ინტერნეტ საიტებზე მხოლოდ საჭიროებიდან გამომდინარე და ვიწერ თუ არა ინფორმაციას მხოლოდ უსაფრთხო საიტებიდან?
- ვიყენებ თუ არა მხოლოდ DAW IT განყოფილების მიერ ნებადართულ სისტემებს?

5.4 მონაცემთა დაცვა

როდესაც სისტემაში შენახულია ინფორმაცია პირების შესახებ, ხდება მათი გაგზანა, ან შეფასება (მაგალითად პერსონალური მონაცემები), ასეთი ტიპის მონაცემებს საჭიროა მიენიჭოს უსაფრთხოების მაღალი დონე და მათი შენახვა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოხდეს. ეს ეხება კლიენტების პერსონალურ მონაცემებს , დაინტერესებულ მხარეებს და ბიზნეს პარტნიორებს, ისევე როგორ ინფორმაციას თანამშრომელთა შესახებ.
DAW-ში ჩვენ პერსონალურ მონაცემებს სიფრთხილით ვეპყრობით და ვიცავთ შესაბამის კანონს პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების შესახებ.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- ჩემი საქმიანობის ფარგლებში ვრწმუნდები მე, რომ პერსონალური მონაცემები შეგროვილია, შენახულია და დამუშავებულია მხოლოდ მისი პირველადი, დადასტურებული საჭიროების შესაბამისად და ოდენობით?

- მახსენდება, თუ არა, რომ დავუკავშირდე პასუხისმგებელ პერსონალური მონაცემების დაცვის კოორდინატორს და მონაცემთა დაცვის ოფიცერს, თუ მე მაქვს რაიმე შეკითხვა, ან ეჭვი? მე შემიძლია მოვიძიო ასეთ პირზე ინფორმაცია ინტერნეტში სიტყვა-კოდი „მონაცემთა დაცვის შესახებ ინფორმაციის“ გამოყენებით.

6. შესაძლო გადაცდომების მხილება

DAW - არის ის კომპანია, სადაც ნებისმიერ თანამშრომელს შეუძლია გააკეთოს განაცხადი კანონდარღვევასთან დაკავშირებით, რეგულაციების, ან ქცევის კოდექსის დარღვევის შესახებ გამოსწორების მიზნით.

ყველა თანამშრომელს შეუძლია ჰქონდეს მოლოდინი მისი მენეჯერებისა და DAW-საგან, რომ გამოძიებულ იქნება მსგავსი ტიპის მიმართვები და გაცხადებული იქნება ფაქტები კომპანიის შიგნით შესაბამისი წესის დაცვით. ჩვენ DAW-ში გვჯერა თქვენი ხელშეწყობის ამ საქმეში.

რისი ერთგულია DAW:

- ყველა შევსებული განცხადება სერიოზულად იქნება მიღებული და მიექცევა ყურადღება, ამასთან, მოხდება ფაქტების გამოკვლევა, ხოლო უკუკავშირი დაბრუნდება ინფორმაციის მიღებიდან 7 დღის განმავლობაში. რაც შეეხება თანმდევ ქმედებებს - ქმედებები განხორციელებული იქნება უახლოესი 3 თვის განმავლობაში.

- ჩვენ არ მოვითმენთ თანამშრომლებისათვის ხელის შეშლას მსგავსი ტიპის დარღვევების შეუტყობინებლობასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, DAW არ მოითმენს რეპრესიებს შურისძიების , დისკრიმინაციის, ან დისციპლინარული ქცევების სახით შეტყობინების გამომგზავნი პირების მისამართით.

ქვემოთ მოცემული საკონტროლო შეკითხვები დაგეხმარებათ სწორად შეაფასოთ თქვენი ქცევები:

- მაქვს თუ არა რაიმე მინიშნება ქცევის კოდექსისა და სამართლებრივი დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით? ასეთ შემთხვევებში მე შემიძლია დავუკავშირდე ჩემს სუპერვაიზერს, ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას, შიდა აუდიტის განყოფილებას, ან პირდაპირ - მმართველობისა და შესაბამისობის განყოფილებას ელექტორნული ფოსტის მისამართზე **Compliance@DAW.de**, ან ნებისმიერ დროს ტელეფონზე **+49-(0)6154-71-76477.**

- ცნობილია ჩემთვის DAW-ს მამხილებელი ცხელი ხაზის შესახებ („DAW-ს ერთიანი ცხელი ხაზი“)? ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას განცხადების შესავსებად შესაბამის ნაციონალურ ენაზე - სურვილის შემთხვევაში ანონიმურად. შემომავლი ანონიმური ზარების დაზუსტება DAW-ს მიერ არ განხორციელდება. სისტემამ შესაძლოა გამოიყენოს აღნიშნული ნომერი შევსებული განაცხადის შინაარსის დასაზუსტებლად, კითხვების დასასმელად და მიღებული ზომების შესახებ უკუკავშირის მისაცემად. DAW-ს ერთიან ცხელ ხაზთან დაკავშირება შესაძლებელია **daw.integrityline.com** -ზე.

მმართველობისა და შესაბამისობის განყოფილება - თქვენი სანდო საკონტაქტო პარტნიორი

სიტუაციებმა, რომლებაც შესაძლოა გამოიწვიოს კითხვების გაჩენა, არის ბუნებრივი მოვლენა და ჩვენთვის ყველასთვის კარგადაა ნაცნობი. ამის საპატივცემულოდ, ქცევის კოდექსმა შესაძლებელია მხოლოდ უზრუნველყოს მიმართულებები და სრულად ვერ დაფაროს ყველა შესაძლო ასპექტი. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაქვთ ეჭვები, კითხვები ან გაურკვევლობები ქცევის კოდექსის გამოყენებასთან და ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით, თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მმართველობისა და შესაბამისობის განყოფილებას. ეს არის თქვენი სანდო საკონტაქტო მისამართი, რომელიც ყოველთვის თქვენს ინტერესებს დაიცაავს და მოხარული იქნება დაგეხმაროთ ნებისმიერ დროს.

მმართველობა და შესაბამისობა

ელ. ფოსტა: **Compliance@daw.de**

ტელ: **+49 – (0)6154-71-76477**

ინტრანეტი: **https://dawgroup.sharepoint.com/sites/intranet-legal-de/SitePages/Compliance.aspx**

DAW

DEUTSCHE
AMPHIBOLIN-WERKE
VON ROBERT MURJAHN